



რეგიონული ტელევიზიების მონიტორინგი
2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოში

პროექტი # S-14-108

საანგარიშო პერიოდი: 9-15 ივნისი, 2014 წელი

მონიტორინგის მეოთხე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:

- ტელეკომპანიათა უმეტესობა არჩევნების დღეს (15 ივნისს) საგანგებო რეჟიმში მუშაობდა და მაყურებელს საარჩევნო უბნებზე შექმნილი სიტუაციის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას აწვდიდა;
- მკვეთრად მოიმატა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაშუქებამ. ტელეკომპანიების ნაწილმა მხოლოდ ადგილობრივ საარჩევნო უბნებზე მიმდინარე პროცესების შესახებ მოამზადა მასალები;
- ტელეკომპანიების უმრავლესობაზე საინფორმაციო გამოშვებების მთავარ პრობლემად კვლავ მოვლენების ზედაპირული გაშუქება რჩება;
- ტელეკომპანიების ნაწილს 15 ივნისამდე რამდენიმე დღით ადრე მოახლოებული არჩევნებისა და მასში მონაწილე სუბიექტების შესახებ შემაჯამებელი მასალა არ მოუმზადებია;
- მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, ტელეკომპანიებმა თვითმმართველობის არჩევნებში, სხვადასხვა პოზიციებზე (მერი, გამგებელი, პროპორციული სიის და მაჟორიტარი დეპუტატი) მონაწილე კანდიდატების მონაწილეობით თოქ-შოუები მოამზადეს;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობაზე თოქ-შოუების წამყვანები თავს არ წარადგენდნენ;
- ტელეკომპანიათა უმრავლესობის გადაცემების მთავარი ტექნიკური ხარვეზი სათანადო ტიტრების არქონაა;
- რეგიონულ ტელემაუწყებელთა სადამოს ეთერში გასულ გადაცემებში "ფარული პოლიტიკური რეკლამის" ნიშნები არ გამოვლენილა;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა ხმით/მუსიკით მანიპულირების შემთხვევები;

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2014 წლის 9-15 ივნისის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს.

მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონული ტელემაუწყებლების სადამოს ეთერში (19:00 - 24:00 სთ.) გასულ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ რეგიონული ტელემაუწყებლების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 16 რეგიონულ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელეკომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ქ. ჭიათურა), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "მე-9 ტალა" (ქ. ფოთი), „არგო“ (ქ. ზესტაფონი), „მარნეული ტვ (ქ. მარნეული), „ბორჯომი“ (ქ. ბორჯომი), „დია“ (ქ. ხაშური).

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონული ტელემაუწყებლების სადამოს (ე.წ. "პრაიმ-ტაიმის", როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს) გადაცემებზე: საინფორმაციო გამოშვებებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებსა და თოქ-შოუებზე.

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი

მონიტორინგის მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ შერჩეული სუბიექტების შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ. დრო ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობს საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, სიუჟეტის ჟურნალისტი ან სიუჟეტის ნებისმიერი რესპონდენტი. ასევე ითვლება დრო, როდესაც სუბიექტი უბრალოდ ჩანს ეკრანზე, ან ჩანს მისი ფოტო, პლაკატი ან სხვა ნებისმიერი ვიზუალური მასალა (იმ შემთხვევაში, თუ ამ დროს მასზე არ საუბრობენ).

მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე სხვები (ჟურნალისტი ან რესპონდენტი) საუბრობენ. იმ შემთხვევებში, როდესაც მონიტორინგის სუბიექტები თავად საუბრობენ (ისმის ხმა) დრო ითვლება, როგორც პირდაპირი გაშუქება;

როდესაც სუბიექტებზე საუბრობენ სხვები, ჟურნალისტები ან რესპონდენტები, დრო ითვლება, როგორც ირიბი გაშუქება.

გაშუქების ტონი ენიჭება მონიტორინგის ყველა სუბიექტს. ტონის შესაფასებლად არსებობს სამი კატეგორია: დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი. ყოველთვის, როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი დრო, იქვე ფასდება ტონიც, ანუ რაოდენობრივად ითვლება, რამდენი წამის/წუთის განმავლობაში საუბრობდნენ ამა თუ იმ სუბიექტზე კონკრეტული ტონით. ტონის შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ ტექსტის შინაარსს, არამედ კონტექსტსაც.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა: ბალანსი, მიუკერძოებლობა, სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ახალი ამბების იგნორირება, მოვლენების დროული გაშუქება, ჟურნალისტის ლექსიკა, "ფარული პოლიტიკური რეკლამის" გამოყენების ფაქტები და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი დეპუტატები, პრეზიდენტი, მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, ადგილობრივი ხელისუფლება (დაკონკრეტების გარეშე), აჭარის მთავრობა, საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (*ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია*), კოალიცია "ქართული ოცნება" (*ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, საქართველოს კონსერვატიული პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს*), საარჩევნო ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ (*თავისუფალი საქართველო, ახალი მემარჯვენეები*), საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“ (*დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო, ქართული დასი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ტრადიციონალისტთა კავშირი, მემარცხენე ალიანსი*), ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“ (*ევროპელი დემოკრატები, სამართლიანი საქართველოსთვის*), ხალხის პარტია, საქართველოს გზა, ალიანსი “ევროატლანტიკური არჩევანი“ (*ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის*,

ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, საქართველოს ქალთა პარტია), ლეიბორისტული პარტია, მწვანეთა პარტია, ქართული პარტია, ასევე თითოეული საარჩევნო ბლოკის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ძალის მერობის კანდიდატები ცალკ-ცალკე, აგრეთვე საკრებულოს დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატები.

მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:


"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ პროტესტის ნიშნად 13 ივნისს, ერთი დღით, მაუწყებლობა შეწყვიტა. არხის ხელმძღვანელობის და ჟურნალისტების განცხადებით ისინი იძულებულნი გახდნენ პროტესტის რადიკალური ზომებისთვის მიემართათ, რადგან მათ მიმართ განხორციელებული ზეწოლისა და შეურაცხყოფის ფაქტებს (აჭარის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარის მედეა ვასაძის მუქარა არხის ჟურნალისტ ჯაბა ანანიძის მიმართ) სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია. ტელეკომპანიის წარმომადგენლებმა სამართალდამცავ ორგანოებს ფაქტების დაუყონებლივი გამოძიებისკენ მოუწოდეს.

საანგარიშო კვირაში ეთერში საინფორმაციო გადაცემა „მაცნეს“ ექვსი გადაცემა გავიდა. მათში ყურადღება, ძირითადად, ტელეკომპანიის ჟურნალისტის, ჯაბა ანანიძის მიერ აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, მედეა ვასაძის მიმართ წარმოდგენილ ბრალდებებს დაეთმო. გაშუქდა მედიის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერ ორგანიზებული ჟურნალისტის მხარდამჭერი აქციები. ამ მოვლენების გაშუქებისას მმართველი გუნდის წარმომადგენელს, მედეა ვასაძეს უარყოფით ტონში ახსენებდნენ, რამაც კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ 54%-იანი ნეგატიური ტონი განაპირობა. მონიტორინგის სუბიექტებიდან მას ყველაზე მეტი დრო, 22 წუთი დაეთმო.

არხის საინფორმაციო გამოშვებებში 9-15 ივნისის მანძილზე საარჩევნო სუბიექტებს შედარებით ნაკლები დრო დაეთმო. მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში საათი და 38 წუთი დაეთმო. ამ დროის 5% ბათუმის მერობის კანდიდატების გაშუქებაზე მოდიოდა. სუბიექტების გაშუქებისას ნეიტრალური ტონი სჭარბობდა, თუმცა სიუჟეტებში ჟურნალისტები განსხვავებული პოზიციების ჩვენებასაც უთმობდნენ დროს და ადგილობრივი თუ ცენტრალური მთავრობის მიმართ კრიტიკული შეკითხვებიც ისმოდა. თავად ჟურნალისტები კი ცდილობდნენ მოვლენები მიუკერძოებლად გაეშუქებინათ და საკუთარი შეხედულებები ნაკლებად დაეფიქსირებინათ.

15 ივნისს, თვითმმართველობის არჩევნების დღეს, არხზე შემაჯამებელი საინფორმაციო გამოშვება მომზადდა, სადაც აჭარის რეგიონის სხვადასხვა საარჩევნო უბანზე არსებულ

სიტუაციას მიმოიხილავდნენ. წარმოდგენილი იყო მასალები საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული დარღვევების შესახებ, აგრეთვე დამკვირვებელთა კომენტარები.



"რიონი" (ქ. ქუთაისი) - „დღის ამბები“, ტელეკომპანია „რიონის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება, საანგარიშო პერიოდში ეთერში ორშაბათიდან კვირის ჩათვლით გადიოდა. კვირა დღის პრაიმ-თაიმში საინფორმაციო გამოშვება არჩევნების დღესთან დაკავშირებით გავიდა და მაყურებელს საშუალება ჰქონდა რეგიონსა და ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო პროცესების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიეღო. „რიონის“ საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტები საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ.

კვირას „რიონის“ ეთერი ასევე ტელეჟურნალ „7 დღეს“ დაეთმო. 50-60 წუთიანი გადაცემა ანალიტიკური, სიღრმისეული მასალებით გამოირჩევა. მონიტორინგის წინა პერიოდებისგან განსხვავებით, როდესაც ტელეჟურნალი მაყურებელს მეტწილად სოციალურ თემებსა და ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებს აცნობდა, 15 ივნისის გადაცემაში უფრო მეტად პოლიტიკური თემები გაშუქდა.


ტელეჟურნალში გავიდა პროექტ „ფაქტ-მეტრის“ სიუჟეტები, სადაც პოლიტიკოსების გამონათქვამების სიზუსტე მოწმდებოდა. „ფაქტ-მეტრის“ ჟურნალისტი მყარი არგუმენტებისა და ექსპერტების შეფასებების საფუძველზე აკეთებდა დასკვნას.

ჟურნალისტები ახალ ამბებს ოპერატიულად გადმოსცემდნენ, თუმცა მოვლენები ზედაპირულად შუქდებოდა და სიღრმისეული სიუჟეტები არ მზადდებოდა.

საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 3 საათი და 11 წუთი დაეთმოთ. აქედან, ყველაზე მეტი დრო კოალიცია „ქართული ოცნების“, ქუთაისის მერობის მათი კანდიდატის, შოთა მურღულიას და ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ გაშუქებაზე მოდიოდა. 15 წუთი დაეთმო ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ მერობის კანდიდატ თეიმურაზ შაშიაშვილს, გაშუქების 7 წუთი ჰქონდა ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ გიორგი თევდორაძეს, 5 წუთი - ხათუნა მაჭავარიანს (ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“). მერობის კანდიდატებზე მხოლოდ დადებით და ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ. მონიტორინგის სუბიექტები, ძირითადად, ამ ორ ტონში შუქდებოდნენ, ნეგატიური გაშუქება მხოლოდ ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ გამოვლინდა. არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მიმართ გამოვლენილი დადებითი ტონი, დიდწილად, მათ მიერ წინასაარჩევნო შეხვედრების დროს გაცემული დაპირებებით აიხსნება.

14 ივნისის საინფორმაციო გამოშვებებში გავიდა კოალიცია „ქართული ოცნების“ ქუთაისის მერობის კანდიდატის, შოთა მურღულიას წინასაარჩევნო შეხვედრებისა და მის მიერ გაცემული დაპირებების შესახებ მომზადებული სიუჟეტი, რომელიც საკმაოდ პოზიტიურად იყო აწყობილი.

ასევე 14 ივნისის გამოშვებაში გავიდა ქალაქ-მუზეუმის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გიორგი ხაზარაძის შესახებ მომზადებული პოზიტიური სიუჟეტი. ეთერში გიორგი ხაზარაძის წინასაარჩევნო შეხვედრაზე მყოფი 5 მოქალაქის სინქრონი გავიდა. სიუჟეტზე ავტორი მითითებული არ იყო.




ქვემო ქართლის ტელეკომპანია (ქ. რუსთავი) – საანგარიშო კვირაში მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“ ყოველდღე გადაიცემოდა. მათში, სხვა არხებთან შედარებით, მონიტორინგის ყველაზე მეტ სუბიექტს დაეთმო დრო, თუმცა გაშუქება სიღრმისეული არ იყო. მათთვის დათმობილმა დრომ 3 საათი და 32 წუთი შეადგინა. 21 გაშუქებული სუბიექტიდან ყველაზე მეტი დროით კოალიცია „ქართული ოცნება“ (32 წთ.) და ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (26 წთ.) იყვნენ წარმოდგენილნი. კოალიცია 65%-ით პირდაპირი საუბრით გაშუქდა, ასევე მაღალი (72%) იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პირდაპირი გაშუქება. ისინი დათმობილი დროის უმეტეს ნაწილს პოლიტიკური ოპონენტის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მთავრობის კრიტიკისთვის იყენებდნენ, რის გამოც „მთავრობისა“ და „ადგილობრივი ხელისუფლების“ მიმართ 34 და 41%-იანი ნეგატიური გაშუქება დაფიქსირდა.

თავად ჟურნალისტები კი ნაკლებად კრიტიკულები იყვნენ, არ უღრმავდებოდნენ მოვლენებს, არ იჩენდნენ ინიციატივას.


არხი, სხვა ტელეკომპანიებთან შედარებით, ინტენსიურად აშუქებდა მერობის კანდიდატების წინასაარჩევნო აქტივობებს. მათ ქალაქ რუსთავის მერობის ყველა კანდიდატს დაუთმეს დრო, თუმცა დროის ბალანსი ნაკლებად იყო დაცული. კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი დრო (25 წთ.) კოალიცია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატ დავით ჯიქიას დაეთმო. ამ დროის 32% პოზიტიურ გაშუქებაზე მოდიოდა. კანდიდატების გაშუქებისას, ძირითადად, ნეიტრალური და პოზიტიური ტონები გამოვლინდა, ხოლო დათმობილი დროის საშუალოდ 65% პირდაპირი საუბარი შეადგენდა. ამ დროს ისინი, ძირითადად, წინასაარჩევნო აგიტაციისთვის იყენებდნენ.

15 ივნისს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეს, ტელეკომპანიის სადამოსეთერში ახალი ამბების ორი სპეციალური გამოშვება გავიდა, რომლებიც მთლიანად არჩევნების წინასწარ შედეგებს, საარჩევნო უბნებზე მიმდინარე მოვლენებს, მოსახლეობის აქტივობასა და ოლქებზე დაფიქსირებულ დარღვევებს შეეხებოდა. აგრეთვე მომზადდა სიუჟეტი, სადაც ნაჩვენები იყო ქალაქ რუსთავის მერობის ცხრავე კანდიდატის ხმის მიცემის პროცესი და მათი კომენტარები.



"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო კვირაში არხმა საინფორმაციო გადაცემა „დროს“ 5 გამოშვება მოამზადა. მათში მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 33 წუთი დაეთმო. დროის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (26 წთ.) და ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციას“ (14 წთ.) ჰქონდათ. პოლიტიკურ სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი/ირიბი საუბრის თითქმის თანაბარი პროცენტული მაჩვენებლები დაფიქსირდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ წარმომადგენლები მათთვის დათმობილ დროს, ძირითადად, სამთავრობო გუნდზე ნეგატიურ ტონში საუბარს უთმობდნენ. შედეგად, კოალიცია „ქართული ოცნების“, მთავრობის და პრემიერ-მინისტრის მიმართ უარყოფითი გაშუქების მაღალი მაჩვენებელი დაგროვდა. ჟურნალისტები სიუჟეტებში საპირისპირო მხარეებს დროს არათანაბრად უნაწილებდნენ, რაც ტონის მხრივ დაუბალანსებელ შედეგს გვაძლევდა.

15 ივნისს, არჩევნების დღეს არხზე მომზადდა ვრცელი საინფორმაციო გამოშვება, სადაც წარმოდგენილი იყო დღის განმავლობაში საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული დარღვევები, კანდიდატების მიერ ხმის მიცემის პროცესი და არჩევნების წინასწარი შედეგები.




"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის მთავარი საინფორმაციო გადაცემა „ექო“ რეგიონსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. გამოშვებების ხანგრძლივობა საშუალოდ 30 წუთი იყო. მათში მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში საათი და 18 წუთი დაეთმოთ. ყველაზე მეტი დროით კოალიცია „ქართული ოცნება“ (20%), ცენტრალური საარჩევნო კომისია (17%) და მთავრობა (12%) იყვნენ წარმოდგენილნი. მონიტორინგის სუბიექტების გაშუქებისას ირიბი საუბარი სჭარბობდა პირდაპირს. თუმცა ინტერვიუების დროს, ხშირ შემთხვევაში, ისინი ოპონენტების კრიტიკისთვის იყენებდნენ, რამაც ნეგატიური ტონის მატება გამოიწვია. ჟურნალისტები ცდილობდნენ პოლიტიკური სუბიექტების განცხადებების და მათ მიერ წარმოდგენილი ფაქტების გადამოწმებას. მაგალითად, 11 ივნისის სიუჟეტში, სადაც საუბარი იყო მმართველი გუნდის მიერ წინასაარჩევნოდ სახელისუფლებო რესურსის გამოყენებაზე, ჟურნალისტმა დასახელებული ფაქტის სიზუსტე გადაამოწმა და დამატებითი კომენტარები წარმოადგინა.

საანგარიშო კვირის საინფორმაციო გამოშვებებში ნაჩვენები იყო სიუჟეტები მოსახლეობის წინასაარჩევნო განწყობებთან დაკავშირებით, სადაც ამომრჩევლების განსხვავებული პოზიციები დაფიქსირდა. საბოლოო ჯამში, სამთავრობო გუნდის მიმართ ჟურნალისტის პოზიტიური, მოსახლეობის კომენტარებით გამყარებული, დასკვნა გაკეთდა.

15 ივნისის, არჩევნების დღის, საინფორმაციო გამოშვებაში რეგიონის საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული დარღვევების ფაქტები დეტალურად გაშუქდა, რის გამოც მკვეთრად მოიმატა ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დათმობილმა დრომ. ამავე გამოშვებაში

დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი: სომხურენოვანი ამომრჩევლის ინტერვიუს არ ახლდა ქართული თარგმანი.



"თანამგზავრი" (ქ. თელავი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები“ ექვსჯერ გავიდა. დაახლოებით 35 წუთიანი გამოშვებების პირველ ნაწილში რეგიონში მომხდარი ახალი ამბები იყო გაშუქებული, მეორე ნაწილში კი - ქვეყნის მთავარ ამბები და უცხოეთის სიახლეები.

15 ივნისს, თვითმმართველობის არჩევნების დღეს, „თანამგზავრმა“ სადამოს ეთერში ორი საინფორმაციო გამოშვება გაუშვა, რომლებიც მხოლოდ არჩევნების მიმდინარეობის გაშუქებას დაეთმო. ნაჩვენები იყო როგორც რეგიონში, ისე მის გარეთ მიმდინარე საარჩევნო პროცესები, ასევე სხვადასხვა დარღვევის ფაქტები.

საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიამ მონიტორინგის 44 სუბიექტიდან 2 წუთზე მეტი დრო მხოლოდ 8 სუბიექტს დაუთმო. მათთვის დათმობილმა დრომ ჯამში 2 საათი და 23 წუთი შეადგინა. ამ დროის ყველაზე დიდი წილი (37 წთ.), ძირითადად, ნეიტრალურ ტონში მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა. მის პირდაპირ და ირიბ გაშუქებას კი თითქმის თანაბარი დრო ეთმობოდა. 29 წუთი დაეთმო ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.


არჩევნებში მონაწილე სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო (18 წთ.) კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაეთმო, ამ დროის 69 % ირიბ გაშუქებაზე მოდიოდა. გაშუქების 12 წუთი ჰქონდა ბლოკ „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“, 4 წუთი - ბლოკ „არასპარლამენტო ოპოზიციის

თელავის მერობის კანდიდატ გიორგი მოსიაშვილს, 3 წუთი - ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიან ოპოზიციას“.

საინფორმაციო გამოშვებების ახალი ამბების თემები მრავალფეროვანი იყო. სიუჟეტები მომზადდა რეგიონში არსებულ სოციალურ თუ ინფრასტრუქტურულ პრობლემებზეც.

მოვლენები, ძირითადად, დაბალანსებულად შუქდება, თუმცა იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სიუჟეტში მეორე მხარის პოზიცია არ იყო ნაჩვენები. მაგალითად, 12 ივნისის „ახალ ამბებში“ საარჩევნო ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ გურჯაანის გამგებლობის კანდიდატი ხელისუფლებას და მმართველ გუნდს საგარეჯოში პატიმრების ოჯახებზე ზეწოლაში, ხოლო ახმეტაში, გურჯაანსა და ლაგოდეხში წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებდა. სიუჟეტში ჟურნალისტს კოალიცია „ქართული ოცნების“ პოზიცია წარმოდგენილი არ ჰქონდა. 10 ივნისის საინფორმაციო გამოშვებაში იგივე კანდიდატი ბლოკ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ სააგიტაციო მასალების დაზიანებაში ადანაშაულებდა. არც ამ სიუჟეტში იყო ნაჩვენები მეორე მხარის კომენტარი.

„თანამგზავრი“ მონიტორინგის სუბიექტებს, ძირითადად, ნეიტრალურად აშუქებდა. მათ პირდაპირი და ირიბი საუბრისთვის დრო თითქმის თანაბრად ეთმობოდათ.



"თრიალეთი" (ქ. გორი) - ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემა „ახალი ამბები თრიალეთზე“ საანგარიშო პერიოდში ყოველდღიურად გადიოდა. მათში მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 7 წუთი დაეთმოთ. სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დროით

წარმოდგენილი იყვნენ: კოალიცია „ქართული ოცნება“ (14%), ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (11%) და მთავრობა (10%). არხზე მთავარი ოპონენტი პოლიტიკური ძალები თითქმის თანაბრად კრიტიკულად შუქდებოდნენ. სხვა სუბიექტების მიმართ კი, ძირითადად, გაშუქების ნეიტრალური ტონი სჭარბობდა.


ქალაქ გორის მერობის კანდიდატებიდან 3 წუთზე მეტი დრო მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატ ზურაბ ჯირკველიშვილს დაეთმო. ამ დროის 61% პოზიტიურ ტონზე მოდიოდა, ხოლო პირდაპირი/ირიბი საუბრის პროცენტული მაჩვენებლები თანაბარი იყო.

ჟურნალისტები, ზოგჯერ, ფაქტებს მშრალად, ზედაპირულად აშუქებდნენ და არ ცდილობდნენ საკითხის სიღრმისეულ გარკვევას, არგუმენტების მოძიებას. მაგალითად, საინფორმაციო გამოშვებებში ორჯერ (9 და 14 ივნისი) გავიდა სიუჟეტი, სადაც პარტია „საქართველოს გზის“ წარმომადგენელი იაგო წიკლაური აცხადებდა, რომ სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ მის მიერ წიგნად გამოცემულ იდეებზე და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით იყო შედგენილი და კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის ეკონომიკური ნაწილის ავტორი ის არის. სიუჟეტში არ იყო წარმოდგენილი ამ მოსაზრების დამადასტურებელი რაიმე საბუთი, რაც გაამყარებდა ან უარყოფდა წიკლაურის ბრალდებას. ჟურნალისტმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ გორის საარჩევნო შტაბში კომენტარზე უარი განაცხადეს.

საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია მნიშვნელოვან დროს უთმობდა სოციალური საკითხების გაშუქებას და პასუხისმგებელი პირების კომენტარებსაც სთავაზობდა მაყურებელს.

15 ივნისს, არჩევნების დღეს, ტელეკომპანიის ეთერში სპეციალური გამოშვება გავიდა, სადაც არჩევნების წინასწარ შედეგებზე, დღის განმავლობაში საარჩევნო უბნებზე შექმნილ სიტუაციასა და დარღვევებზე იყო საუბარი.

საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში დაფიქსირდა სხვადასხვა სახის, ძირითადად, ხმასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზები. ზოგჯერ ინტერვიუერებს არ ჰქონდათ ტიტრები.



"გურია" (ქ. ოზურგეთი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „გურიის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ფაქტი“ ეთერში 5-ჯერ გავიდა. დაახლოებით 10-15 წუთიან გამოშვებებში მხოლოდ ადგილობრივ ახალ ამბებს აშუქებდნენ. აქტიურად შუქდებოდა არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წინასაარჩევნო შეხვედრები, ხოლო რუბრიკაში „ვის ვირჩევთ“ სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტზე იყო საუბარი.

თვითმმართველობის არჩევნების დღეს „გურია“ „ფაქტის“ სპეციალური გამოშვება მიუძღვნა, რომელიც 15 ივნისის საღამოს ეთერში სამჯერ გამეორდა. 6-წუთიანი გადაცემის სიუჟეტები საარჩევნო უბნებზე მიმდინარე პროცესებს შეეხებოდა.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში ერთი საათი და 10 წუთი დაუთმო. მათ, ძირითადად, ნეიტრალურად ან პოზიტიურად აშუქებდნენ, ნეგატიური ტონი მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნების“ და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ გამოვლინდა. „ქართული ოცნების“ 33%-იანი უარყოფითი ტონი, ძირითადად, მათ მიმართ ოპონენტების მხრიდან გაკეთებულმა განცხადებებმა განაპირობა. კოალიციისთვის დათმობილი დროის 68% ირიბ გაშუქებაზე მოდიოდა.


საინფორმაციო გამოშვებებში სუბიექტებისთვის დათმობილი საერთო დროიდან ყველაზე მეტი, თითქმის 9 წუთი კოალიცია „ქართული ოცნების“ ქალაქ ოზურგეთის მერობის კანდიდატს, ბეგლარ სიორიძეს დაეთმო. 7-7 წუთი დაეთმოთ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსისა“ და „საქართველოს გზის“ კანდიდატებს, შოთა გოგიბერიძეს და ივანე ტაბატაძეს; 4-4 წუთი დაეთმოთ ლეიბორისტული პარტიისა და ბლოკ „ერთიანი ნაციონალური

მოძრაობის“ ოზურგეთის მერობის კანდიდატებს, მირზა ჩხიკვიშვილს და ლევან გოგუაძეს. არხზე ნეგატიურად მერობის არც ერთი კანდიდატი არ გაშუქებულა.

აღსანიშნავია, ტელეკომპანიის მიერ 13 ივნისის საინფორმაციო გამოშვებაში დაშვებული შეცდომა. ერთ-ერთ სიუჟეტში, ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ ქალაქ ოზურგეთის მერობის კანდიდატი ირმა კვაჭანტირაძე წარდგენილი იყო, როგორც „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მერობის კანდიდატი.

საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები, ძირითადად, ზედაპირული და ინფორმაციული ხასიათის იყო. მაგალითად, 13 ივნისს გასულ მასალაში, რომელიც „25-ე არხის“ (ქ. ბათუმი) ჟურნალისტის, ჯაბა ანანიძის მხარდამჭერ აქციას შეეხებოდა, მაყურებელს აქციის მიზეზის გაგება გაუჭირდებოდა, რადგან ამბის წინაისტორია არასრულფასოვნად იყო ნაჩვენები.

რესპონდენტებს ხშირად არ აქვთ ტიტრები.




"იმერვიზია" (ქ. ჭიათურა) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „იმერვიზიის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბების“ 6 გამოშვება გავიდა. 20-25 წუთიანი გადაცემები წამყვანის გარეშე გადიოდა და არხის პრაიმ-თაიმში ორჯერ ხვდებოდა. წინა საანგარიშო პერიოდებისგან განსხვავებით, როდესაც საინფორმაციო გადაცემა ორშაბათი-პარასკევის მანძილზე გადაიცემოდა, „იმერვიზიამ“ ახალი ამბების გამოშვება კვირას, არჩევნების დღესაც მოამზადა. 15 ივნისის გამოშვებებში არხი მაყურებელს საჩხერესა და ჭიათურის საარჩევნო

უბნებზე მიმდინარე პროცესებს დეტალურად აცნობდა. ასევე შუქდებოდა მთლიანად ქვეყანაში საარჩევნო პროცესის მიმდინარეობა.

საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს არხმა ჯამში 2 საათი დაუთმო. ამ დროის 33% კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივობების გაშუქებაზე მოდიოდა, 11% - მთავრობის, ხოლო 10% - ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“. საერთო დროის 6-6% დაეთმოთ საარჩევნო ბლოკებს „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ და „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“. საარჩევნო სუბიექტებიდან, 63% პირდაპირი საუბრით, მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატებიც გაშუქდნენ. მთლიანობაში, მონიტორინგის ყველა გაშუქებული სუბიექტის შემთხვევაში პირდაპირი საუბარი ირიბს სჭარბობდა.

საინფორმაციოს გუნდი ახალ ამბებს ოპერატიულად აშუქებდა. ჟურნალისტები მოვლენებს მშრალად აშუქებდნენ, ფაქტების საკუთარი აზრის გამოხატვის გარეშე გადმოსცემდნენ.




"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „გურჯაანზე“ საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ 6 გამოშვება გავიდა. შაბათს ეთერი „მთელ კვირას“ დაეთმო, სადაც კვირის მანძილზე მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით მომზადებული სიუჟეტები გაიმეორეს. შაბათის საინფორმაციოს წამყვანი არ ჰყავდა.

არხი თვითმმართველობის არჩევნების მიმდინარეობის პროცესს აქტიურად აშუქებდა. საანგარიშო კვირაში ასევე შუქდებოდა მიმდინარე მოვლენები: წინასაარჩევნო კამპანიები,

ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები, სოციალური საკითხები, კულტურული და სპორტული ღონისძიებები, ზოგადად ქვეყნისა და უცხოეთის ახალი ამბები. საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტები ახალ ამბებს ოპერატიულად გადმოსცემდნენ, თუმცა მოვლენები, მეტწილად, ზედაპირულად შუქდებოდა.

„გურჯაანის“ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს 56 წუთი დაეთმო. მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე დიდი დროით ცენტრალური საარჩევნო კომისია გაშუქდა. 15 ივნისის საინფორმაციო გამოშვებაში ჟურნალისტი № 12 საოლქო-საარჩევნო კომისიიდან ჩაერთო და მაყურებელს არჩევნების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, რის შემდეგაც მის კითხვებს გურჯაანის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უპასუხა. ჟურნალისტი ცდილობდა რესპონდენტისგან დღის მანძილზე განვითარებულ საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიეღო.




"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - საანგარიშო პერიოდში არხის საინფორმაციო გამოშვება „მთავარი დღეს“ ექვსჯერ გავიდა. შაბათს ეთერი საინფორმაციო გადაცემას „მთავარი კვირას“ დაეთმო. 15 ივნისს, არჩევნების დღეს, მაუწყებლის პრაიმ-თაიმში ორი საინფორმაციო გავიდა, რომელთა ქრონომეტრაჟი 40 და 70 წუთამდე იყო. მათში რეგიონსა და ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო პროცესები დეტალურად იყო გაშუქებული.

საინფორმაციო გამოშვებებში, მონიტორინგის სუბიექტებს არხმა ჯამში 3 საათი და 16 წუთი დაუთმო. ამ დროის 18% ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაშუქებაზე მოდიოდა, 15% - კოალიცია „ქართული ოცნების“. 10-10% დაეთმოთ მთავრობას და ბლოკ „ერთიან

ნაციონალურ მოძრაობას“. ქალაქ ქუთაისის მერობის კანდიდატებიდან არხმა 3 წუთზე მეტი დრო მხოლოდ შოთა მურდულიას (კოალიცია „ქართული ოცნება“), თეიმურაზ შამიაშვილს (ბლოკი „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“) და გიორგი თევდორაძეს (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) დაუთმო. ისინი, დიდწილად, ნეიტრალურ ტონში, პირდაპირი საუბრით გაშუქდნენ.

„მეგა ტვ“ ახალ ამბებს, ძირითადად, ე.წ. „კადრ-სინქრონით“ აშუქებდა. ჟურნალისტები სიახლეებს მაყურებელს ოპერატიულად აწვდიდნენ. თუმცა, მათი მხრიდან ნაკლებად ისმოდა კრიტიკული კითხვები, შესაბამისად ახალი ამბები ზედაპირულად შუქდებოდა. საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა ჟურნალისტის მიერ შეფასების გაკეთების ერთი ფაქტი.



"მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) – საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „მე-9 ტალღის“ საინფორმაციო გადაცემა „კურსორის“ ექვსი გამოშვება გავიდა. 20-25 წუთიანი საინფორმაციო გამოშვებებს პრაიმ-თაიმში დრო ორჯერ ეთმობოდა, დღის ბოლოს მთავარი საინფორმაციო გამოშვება მეორდებოდა.


15 ივნისს, არჩევნების დღეს, ტელეკომპანია „მე-9 ტალღა“ საგანგებო რეჟიმში მუშაობდა. პრაიმ-თაიმში ორი საინფორმაციო გამოშვება პირდაპირ ეთერში გავიდა. ფოთში მიმდინარე საარჩევნო პროცესებს არხი დეტალურად აშუქებდა. საარჩევნო პროცესების მიმდინარეობასთან დაკავშირებით ეთერში გავიდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების ინტერვიუები, ფოთის მერობის კანდიდატების და საქართველოს

პარლამენტის ფოთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ეკა ბესელიას ხმის მიცემის პროცესი და ინტერვიუები.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „მე-9 ტალღის“ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს 2 საათი და 2 წუთი დაეთმო. ამ დროის 24% კოალიცია „ქართული ოცნების“ გაშუქებაზე მოდიოდა, 21% - მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატების, 12% - ცენტრალური საარჩევნო კომისიის. ქალაქ ფოთის მერობის კანდიდატებიდან 3 წუთზე მეტი დრო ირაკლი კაკულიას (კოალიცია „ქართული ოცნება“) და დავით ქანთარას (ბლოკი „ ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“) დაეთმო. მათი გაშუქება, ძირითადად პირდაპირი საუბრით ხდებოდა.

საანგარიშო კვირის გამოშვებებში არხი მაცურებელს საარჩევნო სუბიექტებისა და პოლიტიკური პარტიების აქტივობებს, ადგილობრივ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს, აგრეთვე ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს აცნობდა.

ჟურნალისტები ახალ ამბებს ოპერატიულად გადმოსცემდნენ. თუმცა, პროცესები ზედაპირულად შუქდებოდა და ჟურნალისტები კრიტიკულ კითხვებს არ სვამდნენ. სიუჟეტებში ავტორების მიერ სუბიექტური შეფასების გაკეთების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.



„არგო“ (ქ. ზესტაფონი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვება „სპექტრი“ ორშაბათი-კვირის ჩათვლით საღამოს ეთერში ორჯერ გადიოდა. მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 33 წუთი დაეთმო. ამ დროის 59% ცენტრალური საარჩევნო კომისია

გაშუქდა, 13% - კოალიცია „ქართული ოცნება“. 3 წუთზე ნაკლები დრო დაეთმოთ ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“, ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“, „საქართველოს გზისა“ და ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზესტაფონის გამგებლობის კანდიდატებს. 13 ივნისს გასულ სიუჟეტში საუბარი კანდიდატების მთავარ საარჩევნო დაპირებებს შეეხებოდა. სიუჟეტი 14 ივნისის გამოშვებაშიც გამეორდა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტის მხრიდან მიკერძოებული გაშუქება არ ყოფილა, კოალიცია „ქართული ოცნების“ გამგებლობის კანდიდატის პირდაპირი საუბრის 99% პოზიტიური იყო.

კვირის მანძილზე, არხის საინფორმაციო გამოშვებებში, უმეტესად, კულტურისა და სპორტის ადგილობრივი ახალი ამბები შუქდებოდა. 15 ივნისის გამოშვებაში გასული სიუჟეტები საარჩევნო უბნებზე არსებულ სიტუაციას შეეხებოდა.



„მარნეული ტვ“ (ქ. მარნეული) - საანგარიშო პერიოდში „მარნეული ტვ“-ის ეთერში მთავარი საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები“ ორშაბათი-კვირის ჩათვლით გავიდა. არხის პრაიმ-ტაიმში საინფორმაციო გამოშვებას დრო ორჯერ დაეთმო. „ახალი ამბების“ გამოშვებები 8 - 20 წუთიანი იყო. 14 და 15 ივნისის გამოშვებებში თითო 2 წუთიანი სიუჟეტი გავიდა.

საანგარიშო კვირის გამოშვებებში ადგილობრივ ამბები შუქდებოდა. სიუჟეტები, ძირითადად, ზედაპირული და ინფორმაციული ხასიათის იყო. მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში საათი და 10 წუთი დაეთმოთ. დიდი დრო დაეთმო არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას, განსაკუთრებით, კოალიცია „ქართული ოცნების“ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატ მერაბ თოფჩიშვილს. მისი წინასაარჩევნო კამპანია თითქმის ყველა საინფორმაციო გამოშვებაში ხვდებოდა. 11 და 13


ივნისის გამოშვებაში კი მასზე ორ-ორი სიუჟეტი მომზადდა. მონიტორინგის გაშუქებული სუბიექტებიდან თოფჩიშვილს ყველაზე მეტი დრო (30 წთ.) დაეთმო. ამ დროის 56% პოზიტიურ ტონზე მოდიოდა.

13 ივნისის გამოშვების 4 წუთიან სიუჟეტში, რომელიც თოფჩიშვილის განცხადებას დაეთმო, რომ ის კანდიდატურას არ ხსნიდა, ჟურნალისტმა აქცენტი დადებით დეტალებზე (ტაში, შემახილები) გააკეთა. სიუჟეტი ზედაპირული იყო, არ იყო ნაჩვენები წინაისტორია, რაც გაურკვეველს ხდიდა თუ რამ გამოიწვია თოფჩიშვილის განცხადება. ამავე საინფორმაციო გამოშვებაში, ამავე თემაზე კიდევ ერთი სიუჟეტი გავიდა. მასში გამგებლობის კანდიდატის მხარდამჭერთა მანქანების კოლონა იყო ნაჩვენები, ჩასმული იყო მათი შემახილები, ერთ-ერთი მხარდამჭერის თითქმის 3 წუთიანი სინქრონი. თუმცა, წინაისტორია არც ამ სიუჟეტს ჰქონდა.

არხმა 14 წუთი ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებას დაუთმო. 11 ივნისის საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბოლო სხდომის აღნიშვნას ეხებოდა. დაახლოებით 6 წუთიან სიუჟეტში საკრებულოს თავმჯდომარის ფურშეტზე წარმოთქმულ სადღეგრძელოს და სინქრონს თითქმის 3 წუთი დაეთმო.

საარჩევნო სუბიექტებიდან 3 წუთზე მეტი დრო ბლოკ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ დაეთმო.

თვითმმართველობის არჩევნების დღეს, 15 ივნისს სადამოს ეთერში ორი სიუჟეტი გავიდა, რომლებშიც მარნეულში არჩევნების მიმდინარეობაზე იყო საუბარი.



„ბორჯომი“ (ქ, ბორჯომი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „ბორჯომის“ ეთერში მთავარი საინფორმაციო გამოშვება „დღის ქრონიკა“ 6-ჯერ გავიდა. დაახლოებით ათწუთიანი გამოშვებები პრაიმ-ტაიმში ორჯერ გადის და ისინი, ძირითადად, ადგილობრივ ამბებზეა მომზადებული.

საანგარიშო პერიოდში არხზე საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებით ორი სიუჟეტი მომზადდა. ერთი მათგანი 13 ივნისის საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა და კენჭისყრის პროცედურას შეეხებოდა. არჩევნებამდე 2 დღით ადრე ასეთი სახის სიუჟეტის ეთერში გასვლა ამომრჩევლებისთვის მნიშვნელოვანი იყო.


„ბორჯომმა“ საინფორმაციო გამოშვებების ეთერი მონიტორინგის 44 სუბიექტიდან მხოლოდ ცხრას დაუთმო და ჯამში მათთვის დათმობილმა დრომ 42 წუთი და 33 წამი შეადგინა. ამ დროიდან ყველაზე მეტი (15 წთ.) ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ერგო, რომელიც ძირითადად ნეიტრალურად (95%) და ირიბად (61%) გაშუქდა. მისთვის დათმობილი დრო 15 ივნისის საინფორმაციო გამოშვებების ხარჯზე გაიზარდა.

თითქმის 10 წუთი დაეთმო ადგილობრივ ხელისუფლებას, რომლის 59% პირდაპირ გაშუქებაზე მოდიოდა; 6 წუთი - მთავრობას (იუსტიციის მინისტრის ვიზიტი ბორჯომში). საანგარიშო კვირაში არხს არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიები თითქმის არ გაუშუქებია. საარჩევნო სუბიექტებიდან ყველაზე მეტი დრო კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ ერგო.

არხის საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტები, ძირითადად, ზედაპირული და ინფორმაციული ხასიათის იყო. საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის ეთერში არ გასულა რაიმე თემაზე მომზადებული სიღრმისეული, ანალიტიკური მასალა.

„დღის ქრონიკა“, ძირითადად, დაბალანსებულია, თუმცა იყო გამონაკლისიც. 13 ივნისის საინფორმაციოს ერთ-ერთ სიუჟეტში მოსახლეობა ადგილობრივ ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებდა, ჟურნალისტს კი თვითმმართველობის პოზიცია ნაჩვენები არ ჰქონდა და ფაქტთან დაკავშირებით ჯეროვანი ინფორმაცია არ იყო წარმოდგენილი. ხშირად არასრული ინფორმაციაა ნაჩვენები ტიტრებშიც, რომლებშიც გაურკვეველია ესა თუ ის კანდიდატი, რომელ პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენს.

15 ივნისს „ბორჯომმა“ არჩევნებთან დაკავშირებით ორი საინფორმაციო გამოშვება მოამზადა. მათში გასული სიუჟეტები ადგილობრივ საარჩევნო უბნებზე მიმდინარე პროცესებს ეხებოდა.




„დიას“ (ქ. ხაშური) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „დიას“ ეთერში საინფორმაციო გამოშვება „ახალი ამბები“ ექვსჯერ გავიდა. შაბათს ეთერი „კვირის ამბებს“ დაეთმო, სადაც კვირის მანძილზე მნიშვნელოვან მოვლენებზე მომზადებული სიუჟეტები გაიმეორეს.

არხმა საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს 47 წუთი დაუთმო. ამ დროის 20% კოალიცია „ქართული ოცნების“ გაშუქებას დაეთმო, 13% - ადგილობრივი ხელისუფლების, 11% - ბლოკ „ბურჯანამე-ერთიანი ოპოზიციის“.

მონიტორინგის წინა საანგარიშო პერიოდებისგან განსხვავებით 9-15 ივნისის პერიოდში „დიას“ რამდენიმე საინფორმაციო გამოშვებას წამყვანი უძღვებოდა, თუმცა გადაცემები ეთერში ხარვეზებით (არ ისმოდა წამყვანის ხმა, წამყვანის ხმა და სიუჟეტის ტექსტი ერთმანეთს ფარავდა) გავიდა. გარდა ამისა, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც რესპონდენტებს ტიტრები არ ჰქონდათ, შესაბამისად რამდენიმე სუბიექტს დრო ვერ დავუთვალეთ.

„დიას“ ახალ ამბებს ოპერატიულად, თუმცა ზედაპირულად გადმოსცემდა.



საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების და თოქ-შოუების მონიტორინგი

ამ ტიპის გადაცემების მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. მონიტორინგის დროს დაკვირვება მხოლოდ ჟურნალისტებზე ხდება. მათი ქცევა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ფასდება: გადაცემაში მათი როლი და ჩართულობა, როგორ წარმართავენ პროცესს, უბრალოდ მოდერატორები არიან, თუ ცდილობენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, რამდენად თანაბარ პირობებში აყენებენ სტუმრებს, რამდენად თანაბრად მომთხოვნიან ჟურნალისტი ყველა სტუმრის მიმართ და ცდილობს მათგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას, რამდენად აცდიან სტუმრებს აზრის გამოთქმას, როდის აწყვეტინებენ საუბარს. მონიტორინგი ასევე აკვირდება ჟურნალისტების მხრიდან შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზებისა და განცხადებების გამოყენებას და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:

"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის სადამოს ეთერში ორშაბათი - ხუთშაბათის ჩათვლით თოქ-შოუ „დიალოგი“ გავიდა. თოქ-შოუებს ჟურნალისტი ჯაბა ანანიძე უძღვებოდა. 9-15 ივნისის კვირაში აქტუალური იყო ჟურნალისტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, მედეა ვასაძის დაპირისპირების საკითხი. ამ თემის განხილვას 10 ივნისის გადაცემა დაეთმო. თოქ-შოუში მიწვეულები იყვნენ რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი და ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა -

საქართველოს“ ბათუმის ოფისის ხელმძღვანელი. კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრებმა, გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

9, 11 და 12 ივნისის გადაცემების თემატიკა წინასაარჩევნო საკითხებს შეეხებოდა. გადაცემაში მიწვეულები იყვნენ ბათუმის მერობის კანდიდატები გიორგი ერმაკოვი (კოალიცია „ქართული ოცნება“) და გიორგი დიასამიძე (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), აგრეთვე, პოლიტიკური გაერთიანებების და დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები.

გადაცემაში მიწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი საარჩევნო პლატფორმა წარმოედგინათ. წინა საანგარიშო პერიოდის გადაცემებისაგან განსხვავებით სუბიექტებს საუბრისთვის კონკრეტული დრო ეძლეოდათ, ჩართული იყო წამზომი. ჯაბა ანანიძე მიწვეულ სტუმრებს აზრის გამოხატვისა და კითხვის დასმისთვის თანაბარ დროს უთმობდა. წამყვანი სტუმრებს გადაცემის ფორმატის დაცვისკენ და კორექტული საუბრისკენ მოუწოდებდა. იგი გადაცემის მსვლელობაში აქტიურად იყო ჩართული, სვამდა შეკითხვებს. გადაცემები მაღალი ინტერაქტიულობით გამოირჩეოდა. მათში სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები არ დაფიქსირებულა, თუმცა ოპონენტი პარტიები ერთმანეთს მისამართით მწვავე კომანტარებს აკეთებდნენ.

"რიონი" (ქ. ქუთაისი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში **თოქ-შოუ „თემას“** სამი გამოშვება გავიდა, 9, 11 და 12 ივნისს. გადაცემები ჟურნალისტ ნანა რობაქიძეს მიჰყავდა. თითოეულ გადაცემაში თითო პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები იყვნენ მიწვეულები: ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ვაშაძე, ქუთაისის მერობის კანდიდატი გიორგი თევდორაძე და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები; ბლოკ „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ ქუთაისის მერობის კანდიდატი თეიმურაზ შაშიაშვილი და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები; კოალიცია „ქართული ოცნების“ ქუთაისის მერობის კანდიდატი შოთა მურღულია და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები.

გადაცემების თემა კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები, ქუთაისის განვითარების გეგმა და ის პრობლემები იყო, რომლებსაც ისინი მოსახლეობასთან შეხვედრების დროს წააწყდნენ.

ჟურნალისტი სტუმრებს საინტერესო კითხვებს უსვამდა და ცდილობდა გადაცემაში წამოჭრილ თემებზე დეტალურად ესაუბრათ. როდესაც რესპონდენტები ოპონენტების მიმართ არაეთიკურად საუბრობდნენ, ჟურნალისტი მათ კორექტულობისკენ მოუწოდებდა.

გადაცემის დასკვნით ნაწილში მაყურებელს საშუალება ჰქონდა სტუდიაში დაერეკა და სტუმრებისთვის კითხვები დაესვა. ამ შესაძლებლობას მაყურებლები აქტიურად იყენებდნენ.

თოქ-შოუ „ობიექტური აზრი“ ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში 10 და 13 ივნისს გავიდა. ისინი ჟურნალისტ ელზა ჩუბინიძეს მიჰყავდა. გადაცემა ორ, ზოგჯერ სამ ბლოკად იყო გაყოფილი და სტუმრები იცვლებოდნენ.

გადაცემის სტუმრები იყვნენ ქუთაისის სხვადასხვა უბნის (კახიანაური, ძელქვიანი ქალაქ-მუზეუმი, უქიმერიონი) პოლიტიკური ძალების (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“, „ლეიბორისტული პარტია“ ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“, კოალიცია „ქართული ოცნება“, ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“) და დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები, ასევე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელი.

თოქ-შოუს თემები იყო:

- კანდიდატების საარჩევნო პროგრამები. რამდენად იცნობენ მოსახლეობის პრობლემებს და საკრებულოში მოხვედრის შემთხვევაში როგორ აპირებენ მათ გადაჭრას;
- საიას წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში.

ჟურნალისტი აქტიურად იყო ჩართული გადაცემებში, ცდილობდა სტუმრებისთვის დრო თანაბრად გაენაწილებინა. წამყვანი აქტუალურ კითხვებს სვამდა.

გადაცემების ეთერში გავიდა სტუდიაში მიწვეული კანდიდატების საარჩევნო ოლქებში ჩაწერილი მოსახლეობის გამოკითხვა უბნებში არსებული პრობლემების შესახებ. წამყვანი ინტერესდებოდა, იცოდნენ თუ არა კანდიდატებმა ამ პრობლემების შესახებ და როგორ აპირებენ მათ მოგვარებას. იგი დამატებითი კითხვებით თემის დეტალების გარკვევას ცდილობდა და რესპონდენტებს საკუთარ მოსაზრებებს აკონკრეტებინებდა.

ქვემო ქართლის ტელეკომპანია (ქ. რუსთავი) - საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის ეთერში ოთხი თოქ-შოუ გავიდა. ისინი ერთმანეთისაგან ფორმატით და წამყვანებით განსხვავდებოდნენ.

9 ივნისს ეთერი დაეთმო „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან“ ერთად მომზადებულ **თოქ-შოუს „არჩევნები 2014“**, რომელსაც ნიკოლოზ რუბაშვილი უძღვებოდა. გადაცემაში მიწვეულები იყვნენ ქალაქ რუსთავის მერობის კანდიდატები. გადაცემა ორი ბლოკისგან შედგებოდა. მერობის 9 კანდიდატიდან, გადაცემას მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატი დავით ჯიქია არ ესწრებოდა. გადაცემაში ასევე

მონაწილეობდნენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ კანდიდატებისთვის შეკითხვები დაესვათ.

თოქ-შოუ წინასწარ განსაზღვრული ფორმატით მიმდინარეობდა. დასაწყისში წარმოდგენილი იყო კანდიდატების ბიოგრაფიები, საარჩევნო პროგრამის წარსადგენად სტუმრებს თანაბარი დრო ეთმობოდათ. ჟურნალისტი, ძირითადად, კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და გადაცემის მსვლელობისას საკუთარ პოზიციას არ აფიქსირებდა. მის მიერ დასმული კითხვები აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა.

11 და 13 ივნისს **თოქ-შოუ „თქვენი დრო“** გავიდა, რომლებსაც ჟურნალისტი ხათუნა მამარდაშვილი უძღვებოდა. თითოეულ გადაცემებში რუსთავის მერობის თითო კანდიდატი (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და კოალიცია „ქართული ოცნება“) იყო მიწვეული.

გადაცემა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა და მწვავე დისკუსია არ იმართებოდა. წამყვანი სტუმრებთან პოლემიკაში, ძირითადად, არ შედიოდა და ზოგადი შეკითხვების დასმით შემოიფარგლებოდა. კანდიდატებს საარჩევნო პროგრამებზე, მომავლის ხედვებსა და პრიორიტეტების შესახებ სასაუბროდ დრო მაქსიმალურად ეძლეოდათ. გადაცემა ინტერაქტიული იყო, მაყურებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ სტუმრებისთვის კითხვები პირდაპირ ეთერში დაესვათ.

14 ივნისს **გადაცემა „აირჩიე ქალაქის მერი“** გავიდა, რომელსაც ჟურნალისტი ზვიად ქორიძე უძღვებოდა. გადაცემა ორგანიზაციის, „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის“, მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით მომზადდა.

გადაცემის სტუმრები იყვნენ ქალაქ რუსთავის მერობის კანდიდატები: ივანე შათირიშვილი („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“), რევაზ რიჭამაძე („ლეიბორისტული პარტია“), ელგუჯა ქოჩიაშვილი ("უფლის სახელით - უფალია ჩვენი სიმათლე") და ეროსი კიწმარიშვილი ("ჩვენი საქართველო"). გადაცემა წინასწარ დადგენილი ფორმატით მიმდინარეობდა. კანდიდატებს მისალმებისთვის 2-2 წუთი დაეთმოთ, რის შემდეგაც ჟურნალისტმა თითოეულ სტუმარს 3-3 შეკითხვა დაუსვა. თითოეულზე პასუხისთვის მათ ორ-ორი წუთი მიეცათ, ხოლო კომენტარებისთვის თითო-თითო წუთი. ჟურნალისტი მათ აზრის დასრულების საშუალებას აძლევდა. გადაცემის დასკვნით ნაწილში მერობის

კანდიდატებს შემაჯამებელი კომენტარებისათვის და ამომრჩევლებისადმი მიმართვისთვის 2-2 წუთი დაეთმო.

წამყვანის შეკითხვები, ძირითადად, კანდიდატთა საარჩევნო პროგრამებს, სამოქმედო გეგმებს, საარჩევნო გარემოსა და მოსახლეობის პრობლემების გადაჭრის გზებს შეეხებოდა. ჟურნალისტი სტუმრებთან პოლემიკაში არ შედიოდა და მოდერატორის როლს ითავსებდა. თემიდან გადახვევის შემთხვევაში, სტუმარს თემასთან დაბრუნებისკენ მოუწოდებდა. მერობის კანდიდატები ერთმანეთის მიმართ კრიტიკულ და მწვავე რეპლიკებს წარმოთქვამდნენ.

"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო პერიოდში, 11 ივნისს ტელეკომპანიის ეთერში **თოქ-შოუ „არჩევნები 2014“** გავიდა. გადაცემა „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ მხარდაჭერით მომზადდა და მას ჟურნალისტი ნანა ქობალია უძღვებოდა. დაახლოებით ორსაათიან გადაცემაში მონაწილეობდნენ საარჩევნო სუბიექტების (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, კოალიცია „ქართული ოცნება“, ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“, ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“) წარმომადგენლები. გადაცემა სამი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში ყურადღება სტუმრების საარჩევნო პროგრამებზე, მთავარ მესიჯებსა და სლოგანებზე გაკეთდა, მეორე ნაწილი კითხვა-პასუხს დაეთმო, ხოლო მესამე - არხის ფეისბუკგვერდზე მაყურებლის მიერ გაკეთებულ კომენტარებს და შეკითხვებს. გადაცემა სტუმრების ამომრჩევლებისადმი მიმართვებით დასრულდა. გადაცემის მსვლელობის მანძილზე მორბენალ სტრიქონში მაყურებლების მიერ გამოგზავნილი კომენტარები გადიოდა. მათი ნაწილი მწვავე და კრიტიკული იყო, არ იცხრილებოდა და ზოგიერთი მათგანი არაეთიკურ გამონათქვამებს შეიცავდა.

გადაცემა მწვავე და დამაბულ ფონზე მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ემოციური განცხადებებით „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ წარმომადგენელი თენგიზ ჯგუშია გამოირჩეოდა. მისი აქტიურობიდან გამომდინარე, თენგიზ ჯგუშიას კომანტარებს უფრო მეტი დრო დაეთმო.

თოქ-შოუს სტუმართა მხრიდან ხშირად ისმოდა ურთიერთბრალდებები. წინასაარჩევნო გარემოს შეფასება და რეგიონში დაფიქსირებული დარღვევები ხმაურის ფონზე განიხილებოდა. წამყვანი ცდილობდა სიტუაციის მართვას და სტუმრებს თემასთან ახლოს, კორექტული საუბრისკენ მოუწოდებდა. იგი ცდილობდა სტუმრებისთვის ოპონირებაც გაეწია, თუმცა გადაცემის მეორე ნაწილში ეს უფრო რთული გასაკეთებელი იყო. ხშირად ისმოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები. წამყვანი სიტუაციის გაკონტროლებას, ზოგჯერ ვერ ახერხებდა. ჟურნალისტის მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტები არ

დაფიქსირებულა, თუმცა პოლიტიკური სუბიექტები განსაკუთრებით არაეთიკური ფრაზების გამოყენებას არ ერიდებოდნენ, რაზეც წამყვანი დროულად არ რეაგირებდა. გადაცემის სტუმრებს ტიტრები არ უკეთდებოდათ.

"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - საანგარიშო პერიოდში, 9 ივნისს, ტელეკომპანიის ეთერი გადაცემას „აირჩიე ქალაქის მერი“ დაეთმო. თოქ-შოუ ორგანიზაცია „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის“ მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით მომზადდა. თოქ-შოუს ჟურნალისტი რუსუდან გვარამაძე უძღვებოდა.

გადაცემა 30 მაისს ჩაიწერა. მისი ეთერში გასვლის დღეს ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ ახალციხის მერობის კანდიდატ ნატალი სისვაძეს კანდიდატურა მოხსნილი ჰქონდა. ეს ფაქტი, გადაცემის პირველივე კადრზე, ტიტრების სახით დაფიქსირდა.

გადაცემაში მონაწილეობდნენ ქალაქ ახალციხის მერობის კანდიდატები: გელა დემეტრაძე (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), გოჩა კოპაძე (კოალიცია „ქართული ოცნება“), გოჩა ათოშვილი („საქართველოს გზა“), ნატალი სისვაძე (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“) და ზაზა ნათენაძე (ბლოკი „ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“).

გადაცემა წინასწარ დადგენილი ფორმატით მიმდინარეობდა. კანდიდატებს მისალმებისთვის 2-2 წუთი დაეთმოთ, რის შემდეგაც მათ ჟურნალისტის მიერ მომზადებულ სამ-სამ კითხვას უპასუხეს. თითოეულზე საპასუხოდ კანდიდატებს ორ-ორი წუთი მიეცათ, ხოლო კომენტარებისთვის თითო-თითო წუთი. ჟურნალისტი მათ აზრის დასრულების საშუალებას აძლევდა. გადაცემის დასკვნით ნაწილში სტუმრებს დრო შემაჯამებელი კომენტარებისათვის და ამომრჩევლისადმი მიმართვისთვისაც დაეთმოთ.

გადაცემა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, ჟურნალისტი მოდერატორის ფუნქციას ასრულებდა.

გადაცემაში არ დაფიქსირებულა სიმულვილის ენისა და არაეთიკური ლექსიკის გამოყენების შემთხვევები.

12 ივნისს ეთერში გადაცემა „დილოგი“ გავიდა. მისი ქრონომეტრაჟი ორი საათი და 15 წუთი იყო და მას ჟურნალისტი რუსუდან გვარამაძე უძღვებოდა. გადაცემა სამი ნაწილისგან შედგებოდა, მასში მონაწილეობდნენ ასპინძის, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატები.

გადაცემის პირველი ნაწილში საკუთარი საარჩევნო პროგრამისა და სამომავლო გეგმების შესახებ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ კანდიდატმა ისაუბრა. გადაცემის ამავე ნაწილში

მონაწილეობაზე ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს. გადაცემა კითხვა-პასუხის, მშვიდ რეჟიმში მიმდინარეობდა. ჟურნალისტი მწვავე და კრიტიკული შეკითხვების დასმით არ გამოირჩეოდა და არც თემის დეტალებით ინტერესდებოდა, თუმცა აქტუალურ შეკითხვებს სვამდა. რუსუდან გვარამაძე სტუმრებს პოლიტიკურ ხედვებსა და საარჩევნო პლატფორმაზე სასაუბროდ დროს თანაბრად უთმობდა. ჟურნალისტის მხრიდან რომელიმე სუბიექტის მიმართ მიკერძოებული მიდგომა არ შეინიშნებოდა.

გადაცემის მეორე და მესამე ნაწილი სტუმართა მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა. მიწვეულები იყვნენ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გამგებლობის კანდიდატები. განსაკუთრებით მწვავე კომენტარებს მაყურებელი სატელეფონო ჩართვებში აკეთებდა.

"თანამგზავრი" (ქ. თელავი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „თანამგზავრის“ ეთერში გადაცემა „დიალოგის“ ერთი გამოშვება გავიდა. 13 ივნისის გადაცემას ჟურნალისტი ნატო მეგუთნიშვილი უძღვებოდა. გადაცემის სტუმრები არაკვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტებისა და საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი ქალაქ თელავის და თელავის რაიონის სოფლების მაჟორიტარი დეპუტატობის რვა კანდიდატი იყო. თუმცა წამყვანს ისინი არ წარუდგენია და კონკრეტულად არც ის საარჩევნო ოლქები დაუსახელებია, სადაც კენჭს იყრიან. სტუმრებს საუბრის დროს არც ტიტრები უკეთდებოდათ. ისინი საუბრის დროს თავად წარადგენდნენ თავს. ჟურნალისტმა სტუმრებს დრო თანაბრად დაუთმო. მათ თავიანთ სამოქმედო გეგმებზე, წინასაარჩევნო გარემოზე, არსებულ პრობლემებზე და მათი მოგვარების გზებზე ისაუბრეს.

წამყვანმა რამდენჯერმე სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ერთი მთლიანი კითხვა დასვა, რაც ცხადი პასუხის მიღების საშუალებას არ იძლეოდა.

გადაცემა ინტერაქტიული იყო, მაყურებელი საუბარში სატელეფონო ზარების მეშვეობით აქტიურად ჩაერთო. დაახლოებით საათნახევარიანი გადაცემის მსვლელობისას ნაჩვენები იყო წინასაარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული სიუჟეტი.

"თრიალეთი" (ქ. გორი) - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „თრიალეთის“ ეთერში მონიტორინგის სუბიექტების შესახებ ოთხი თოქ-შოუ გავიდა.

გადაცემა „დღის თემა“ ჟურნალისტ ია გავაშელს მიჰყავდა. თოქ-შოუს თემა ქართველი სამხედროების საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა იყო. გადაცემაში მიწვეულები იყვნენ პარტია „ახალი მემარჯვენეების“ წევრი, სამხედრო ექსპერტი და ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი. გადაცემაში მწვავე დისკუსია გაიმართა. წამყვანი მხოლოდ კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა და, უმეტეს შემთხვევაში, სტუმრებს ოპონირებას არ უწევდა. თუმცა, იგი განსახილველ თემას კარგად იცნობდა და აქტუალურ კითხვებს სვამდა. გადაცემის ხანგრძლივობა ერთ საათს არ აღემატებოდა.

გადაცემა „თვითმმართველობის არჩევნები 2014“ ლადო ბიჭაშვილს მიჰყავდა. საანგარიშო კვირაში სამი გადაცემა გავიდა. 10 და 12 ივნისის გადაცემები გორისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებსა და მათ შორის დებატებს დაეთმო. 13 ივნისს კი შემაჯამებელი თოქ-შოუ მომზადდა, სადაც მიწვეული იყო გორის მერობის ექვსივე კანდიდატი (კოალიცია „ქართული ოცნება“, ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ერთიანობის დარბაზი“, ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“, ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“, „მშრომელთა პარტია“). გადაცემა ტექნიკური ხარვეზებით მიმდინარეობდა. ხმის ხარვეზების გამო, ეთერი დროებით შეჩერდა. განახლებულ ეთერს კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „მშრომელთა პარტიის“ კანდიდატები აღარ ესწრებოდნენ.

სტუმრებს მაქსიმალური დრო მიეცათ საკუთარი საარჩევნო პროგრამების, ხედვებისა და სამომავლო გეგმების წარსადგენად. აქცენტი წინასაარჩევნო გარემოს შეფასებაზეც გაკეთდა. კანდიდატებს შესაძლებლობა ჰქონდათ თავისუფლად, შეუზღუდავად ესაუბრათ. დროის კონტროლი წამზომით ხდებოდა.

წამყვანი, ძირითადად, მოდერატორის როლს ასრულებდა. გადაცემა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. ისმოდა კრიტიკული შეფასებებიც, თუმცა დებატები განსაკუთრებით მწვავე არ ყოფილა.

ტელეკომპანიის გადაცემების მნიშვნელოვან პრობლემად კვლავ ტიტრების არქონა რჩება.

"გურია" (ქ. ოზურგეთი) - ტელეკომპანია „გურიის“ ეთერში, საანგარიშო კვირაში, მონიტორინგის სუბიექტების მონაწილეობით 13 ივნისს 30 წუთიანი მასალა გავიდა, რომელიც „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ახალგაზრდული მიმართულების წევრების ქალაქ ოზურგეთის მერობის კანდიდატებთან შეხვედრის შესახებ იყო მომზადებული.

მერობის კანდიდატები: ლევან გოგუაძე (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), შოთა გოგიბერიძე („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“), მირზა ჩხიკვიშვილი („ლეიბორისტული

პარტია“), ივანე ტაბატაძე („საქართველოს გზა“), ბეგლარ სიორიძე (კოალიცია „ქართული ოცნება“), კახა ჩავლეიშვილი (ბლოკი „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“), ირმა კვაჭანტირაძე (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“), - ახალგაზრდების კითხვებს პასუხობდნენ, რომლებიც ქალაქში არსებულ სხვადასხვა პრობლემას (ქალაქის იერსახე, ავარიული და სიცოცხლისთვის საშიში შენობები, მოუწყობელი ტროტუარები, სკვერები, პანდუსები) შეეხებოდა. თითოეული კანდიდატი ყველა კონკრეტულ კითხვას სცემდა პასუხს და დასახელებული პრობლემების გადაჭრის მისეულ გზებზე საუბრობდა.

"იმერვიზია" (ქ. ჭიათურა) - საანგარიშო კვირაში არხზე თოქ-შოუ არ გასულა.

"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი) - საანგარიშო პერიოდში, 13 ივნისს „გურჯაანის“ ეთერში **თოქ-შოუ „ძალა უძალოთა“** გავიდა, რომელიც ჟურნალისტ ლევან ალექსიშვილის მიჰყავდა. თოქ-შოუ ორი ბლოკისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“, ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“, ბლოკ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ თავიანთი პოლიტიკური გაერთიანებების საარჩევნო პროგრამები წარედგინათ და ჟურნალისტის კითხვებზე ეპასუხათ.

გადაცემის მეორე ბლოკის სტუმრები ყვარლის გამგებლობის კანდიდატები უნდა ყოფილიყვნენ. წამყვანის თქმით, მათ ხუთივე კანდიდატი მიიწვიეს, თუმცა გადაცემაში მონაწილეობა მხოლოდ ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა, ხატია დეკანოიძემ მიიღო.

ჟურნალისტი აქტუალურ კითხვებს სვამდა, თემის დეტალებით ინტერესდებოდა და ცდილობდა გადაცემის სტუმრებს მის მიერ დასმულ კითხვაზე კონკრეტული პასუხი გაეცათ. გადაცემის მეორე ბლოკში მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა სატელეფონო ზარის მეშვეობით გადაცემის სტუმრისთვის კითხვები დაესვა. მაყურებლებმა ეს შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოიყენეს.

"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიის ეთერში **თოქ-შოუ „დებატები“** ოთხჯერ გავიდა. ისინი ჟურნალისტ თიკო კიკაბიძეს მიჰყავდა.

გადაცემების სტუმრები იყვნენ: კოალიცია „ქართული ოცნების“, ბლოკ „თვითმმართველობა ხალხს“ და „ლეიბორისტული პარტიის“ სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები; სამტრედიის გამგებლობის კანდიდატები საარჩევნო ბლოკებიდან „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“ და „თვითმმართველობა ხალხს“; „ერთიანი ნაციონალური

მოძრაობის“, „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“ და „თვითმმართველობა ხალხს“ წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები; „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წყალტუბოს გამგებლობის კანდიდატები.

გადაცემებში კანდიდატების საარჩევნო პროგრამებზე საუბრობდნენ.

ჟურნალისტი საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო პროგრამებით ინტერესდებოდა. იგი ცდილობდა სტუმრებისთვის დრო თანაბრად გაენაწილებინა, კანდიდატებს მათი პრიორიტეტების შესახებ ეკითხებოდა და ცდილობდა გაერკვია როგორ აპირებდნენ წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას. თუმცა წამყვანი კრიტიკული კითხვების დასმით არ გამოირჩეოდა.

11 ივნისს ტელეკომპანიის ეთერი **თოქ-შოუ „არჩევნები 2014“** დაეთმო. გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით მომზადდა. იგი ჟურნალისტ ნანა თვალაბეიშვილს მიჰყავდა.

გადაცემაში ქუთაისის მერობის ოთხ კანდიდატს შორის დებატები უნდა გამართულიყო, მაგრამ გადაცემაში მხოლოდ ერთი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მერობის კანდიდატი ალექსანდრე კეზევაძე მივიდა.

ნანა თვალაბეიშვილმა განაცხადა, რომ მაგდა გაბრიჩიძემ (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“), ირაკლი კიკვაძემ („საქართველოს ლეიბორისტული პარტია“) და ხათუნა მაჭავარიანმა (ბლოკი „თვითმმართველობა ხალხს“) გადაცემაში არმისვლის მიზეზად შემოქმედებითი ჯგუფისთვის არაარგუმენტირებული მიზეზები მოიყვანეს. შედეგად, ეთერში დებატების ნაცვლად, დიალოგი გაიმართა. ჟურნალისტი დაინტერესდა თუ რა იყო ის პრობლემები, რომელსაც გამარჯვების შემთხვევაში ალექსანდრე კეზევაძე გადაჭრიდა, როგორ გაანაწილებდა ბიუჯეტს და როგორი იქნებოდა მისი საკადრო პოლიტიკა.

მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) – საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „მე-9 ტალღის“ ეთერში **თოქ-შოუ „თემა“** 13 და 14 ივნისს გავიდა. ისინი ჟურნალისტ თეა აბსარიძეს მიჰყავდა.

14 ივნისის გადაცემის სტუმრები იყვნენ ფოთის მერობის კანდიდატები: ირაკლი კაკულია (კოალიცია "ქართული ოცნება"), ვახტანგ დარცმელიძე (ბლოკი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"), უშანგი გეგენავა ("საქართველოს პატრიოტთა ალიანსი") და დავით ქანთარია (ბლოკი "ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიცია").

13 ივნისს წამყვანს სტუდიაში კოალიცია „ქართული ოცნების“, საარჩევნო ბლოკების „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“, „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, აგრეთვე „საქართველოს გზის“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“, „საქართველოს ვეტერანთა და პატრიოტთა მოძრაობის“ პროპორციული სიების პირველი ნომრები ჰყავდა მიწვეული.

გადაცემების მსვლელობისას ჟურნალისტი თითოეული კანდიდატის პრიორიტეტებით ინტერესდებოდა და ცდილობდა გაერკვია თუ რატომ უნდა მიეცა მათთვის ამომრჩეველს ხმა. თუმცა, მისი კითხვები კრიტიკული არ იყო, ჟურნალისტი მშრალ კითხვებს სვამდა და, ძირითადად, მოდერატორის როლს ასრულებდა.

ფოთის მერობის კანდიდატმა დავით ქანთარია ოპონენტის მიმართ, რომელიც სტუდიაში არ იმყოფებოდა, არაკორექტული ლექსიკა გამოიყენა, კოალიციის მერობის კანდიდატმა მას კორექტულობისკენ მოუწოდა. ჟურნალისტი ამ საუბარში არ ჩარეულა და მხოლოდ უსმენდა. არც მათი შეჩერება უცდია და არც სტუმრისთვის შეუხსენებია, რომ კორექტულად უნდა ესაუბრა. ფოთის მერობის ორი კანდიდატის საუბარი კამათში გადაიზარდა და თემას გასცდა, ჟურნალისტს მოგვიანებით გაახსენდა რომ სტუმრები სხვა თემაზე საუბრობდნენ და მოუწოდა, კამათი დაესრულებინათ.

„არგო“ (ქ. ზესტაფონი) - საანგარიშო კვირაში არხზე თოქ-შოუ არ გასულა.

„მარნეული ტვ“ (ქ. მარნეული) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „მარნეულ ტვ“-ის ეთერში საარჩევნო თემატიკაზე, მონიტორინგის სუბიექტების მონაწილეობით რამდენიმე გადაცემა გავიდა:

პოლიტიკური დებატები „არჩევნები 2014“-ის ორი გამოშვება, 9 და 12 ივნისს. გადაცემები ჟურნალისტ ნანა სისვაძეს მიჰყავდა.

9 ივნისის გადაცემა დაახლოებით საათნახევარი გაგრძელდა. დებატებში მონაწილეობა მიიღეს მარნეულის 22-ე საოლქო კომისიაში დარეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, „მერაბ კოსტავას საზოგადოებიდან“, ბლოკ „არასაპარლამენტო ოპოზიციიდან“, ბლოკ „ბურჯანაძე -ერთიანი ოპოზიციიდან“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან“ და კოალიცია „ქართული ოცნებიდან“. სტუმრებმა ავტობიოგრაფიაზე, ძირითად პოლიტიკურ ხედვებზე, საარჩევნო პროგრამასა და რეგიონში არსებულ პრობლემებზე კენჭისყრით განსაზღვრული რიგითობით

ისაუბრეს. თუმცა, გადაცემის მსვლელობისას გადაცემის თემა და საუბრის განსაზღვრული რიგითობა დაიკარგა. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ერთმანეთს სხვადასხვა ბრალდებას უყენებდნენ და ერთმანეთის კითხვებზე ითხოვდნენ პასუხის გაცემას.

„არჩევნები 2014“-ის 12 ივნისის გადაცემა დაახლოებით 30 წუთს გაგრძელდა. წამყვანის თქმით, მას გადაცემაში მიწვეული ჰყავდა მარნეულის 22-ე საოლქო კომისიაში დარეგისტრირებული 9 კანდიდატი, რომელთაგან სტუმრობას მხოლოდ ერთი დათანხმდა. ჟურნალისტი მოუმზადებელი იყო და სტუმრების შესახებ სათანადო ინფორმაციას არ ფლობდა. მან ჩამოთვალა მიწვეული კანდიდატები და ის საარჩევნო ოლქები, სადაც ისინი იღებდნენ მონაწილეობას არჩევნებში, თუმცა არ განუმარტავს რომელ პარტიებს წარმოადგენდნენ. ჟურნალისტს ასევე არ დაუსახელებია ვის წარმოადგენდა სტუდიაში მყოფი სტუმარი და მხოლოდ გადაცემის მსვლელობისას, მისი საუბრიდან გაირკვა, რომ მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატი იყო. იგი აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობდა. გადაცემას თარჯიმანიც ესწრებოდა, თარგმნა სინქრონში არ ხდებოდა და სტუმრის საუბარი დაახლოებით 2 წუთიანი ინტერვალებით ითარგმნებოდა. სტუმარმა მაყურებელს ავტობიოგრაფია გააცნო და საარჩევნო პროგრამის შესახებ ისაუბრა. ჟურნალისტი პასიური იყო, სტუმრის საუბარში არ ერეოდა და კითხვებს არ უსვამდა.

13 ივნისს ეთერში გავიდა ათწუთიანი **სპეციალური გადაცემა** კოალიცია „ქართული ოცნების“ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატის მერაბ თოფჩიშვილის კანდიდატურის შესაძლო მოხსნასთან დაკავშირებით. გადაცემის წამყვანი ნანა სისვაძე იყო. გადაცემის სტუმრები იყვნენ მერაბ თოფჩიშვილის მხარდამჭერთა დარბაზის ხელმძღვანელი და კოალიცია „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციის წევრი. კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობდა, რაც არ უთარგმნიათ და გაუგებარი იყო, რაზე საუბრობდა. ჟურნალისტს მაყურებლისთვის ამბის წინაისტორია არ შეუხსენებია და გაუგებარი იყო, საერთოდ რატომ დადგა „ქართული ოცნების“ გამგებლობის კანდიდატის მოხსნის საკითხი.

სტუდიის სტუმრებს გადაცემების მსვლელობისას ტიტრები არ უკეთდებოდათ.

13 ივნისს ეთერში გავიდა 40 წუთიანი მასალა **პროექტის „ინფორმაციული საზოგადოება სამართლიანი არჩევნებისთვის“** შესახებ. პროექტს „სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი“ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. მასალაში ნაჩვენები იყო პროექტის ფარგლებში განხორციელებული

დონისძიებები (აქცია, ექსპერტებთან შეხვედრა), რომლებიც ხელს უწყობდა არჩევნებისა და თვითმმართველობის რეფორმის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლებას.

„ბორჯომი“ (ქ, ბორჯომი) - საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „ბორჯომის“ ეთერში საარჩევნო თემატიკაზე მომზადებული რამდენიმე გადაცემა გავიდა: **თოქ-შოუ „ფორუმის“** 4 გადაცემა (9, 10, 11 და 13 ივნისი), **გადაცემა „გენდერი და საზოგადოება“** (12 ივნისი) და **ტელეხიდი „ინტერაქტივის“** ორი გადაცემა (13-14 ივნისი).

თოქ-შოუ „ფორუმი“ ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით მზადდება, მისი წამყვანი ეკა ნოზაძეა. ჟურნალისტი გადაცემების თემისთვის მომზადებული იყო და სხვადასხვა ოლქში (ტაძრისის, ტბის, ბალანთის, დვირის, ახალდაბის, წალვერის, ყვიბისის, ბაკურიანის) დარეგისტრირებულ კანდიდატებზე ინფორმაციას სრულად ფლობდა. მისი თქმით, ის გადაცემაში სტუმრობას ყველა მათგანს სთავაზობდა, თუმცა ყველა როდი თანხმდებოდა გადაცემაში მონაწილეობაზე. გადაცემები სამი ნაწილისგან შედგებოდა და თითოეულში სხვადასხვა პოლიტიკური ძალების (კოალიცია „ქართული ოცნება“, „საქართველოს პარტიოტა ალიანსი“, „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“, ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) და დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატები მონაწილეობდნენ. გადაცემები საშუალოდ ერთსაათიანი იყო. გადაცემის დასაწყისში წამყვანი თავს არ წარადგენდა და არც სტუმრებს ჰქონდათ ტიტრები. წამყვანი, ძირითადად, მოდერატორი იყო, სტუმრებს დროს თანაბრად უნაწილებდა და თემიდან გადახვევის საშუალებას არ აძლევდა. გადაცემების მთავარი თემა სტუდიაში მყოფი კანდიდატების საარჩევნო პროგრამები, რაიონში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები იყო. ისინი ოპონენტებთან შედარებით თავიათნ უპირატესობაზეც საუბრობდნენ. კანდიდატებმა ასევე თავიანთ წარსულზე და პოლიტიკაში მოსვლის მიზეზებზე ისაუბრეს, შეაფასეს საარჩევნო გარემო.

„ფორუმის“ 13 ივნისის საათნახევრიან გადაცემას დებატების სახე ჰქონდა. მასში მონაწილეობდნენ ბორჯომში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ლიდერები ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, „ლეიბორისტული პარტიიდან“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან“, „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობიდან“, კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ და ბლოკ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციიდან“.

გადაცემაში მიწვეულმა სტუმრებმა საარჩევნო სიების პირველი ათეული კენჭისყრით განსაზღვრული რიგითობით წარადგინეს და გამარჯვების შემთხვევაში განსახორციელებელ

პროექტებზე ისაუბრეს. დებადეტები კამათში გადაიზარდა. ნეგატიური განცხადებებით განსაკუთრებით „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენელი გამოიჩინა. ამ პროცესის მართვა და კამათის შეჩერება წამყვანს გაუჭირდა.

12 ივნისს ეთერში გადაცემა „გენდერი და საზოგადოება“ გავიდა. მის წამყვანს თავი არ წარუდგენია. ეს გადაცემა პროექტის „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში მზადდება. მას „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ახორციელებს. მისი პარტნიორები არიან: ფონდი „ტასო“, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი და გალის რაიონში მოქმედი არსამთავრობო ორგანიზაცია.

დაახლოებით 40 წუთიანი გადაცემის თემა ქალი და პოლიტიკა იყო, რა ფაქტორები უწყობს ხელს ქალების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას. გადაცემის სტუმრები იყვნენ ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლები. მათ საუბრისთვის თითქმის თანაბარი დრო დაეთმო. წამყვანი გადაცემის თემისთვის მომზადებული იყო. ეთერში გავიდა სიუჟეტი, რამაც გადაცემა დინამიური გახადა.

ტელეკომპანიის ეთერი 13 და 14 ივნისს დაეთმო ტელეხილს „ინტერაქტივი“. იგი სამცხე-ჯავახეთის მედიაცენტრის, ტელეკომპანიების „ბორჯომი“ და „მე-9 არხი“ (ქ. ახალციხე) და „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ ერთობლივი პროდუქტია, რომელიც „დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდის“ (NED) მხარდაჭერით მზადდება.

გადაცემა სამი სტუდიის ტელეხილს წარმოადგენს. მისი წამყვანი „ბორჯომის“ სტუდიაში ჟურნალისტი ეკა ნოზაძეა, „მეცხრე არხის“ სტუდიაში - ჟურნალისტი თაკო ფეიქრიშვილი. სამივე სტუდიაში თითო სტუმარი (ბორჯომის და ახალციხის ადგილობრივი ხელისუფლების და რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები; არასამთავრობო ორგანიზაციების და საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები) იყო მიწვეული, რომლებიც გადაცემებში კონკრეტულ თემებზე საუბრობდნენ. გადაცემების თემები იყო:

- თვითმმართველობის რეფორმა, ბიუჯეტის ცვლილებები, მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობის პროცესში;
- წინასაარჩევნო გარემო, რეგისტრაციიდან მოხსნილი სუბიექტები.

გადაცემები დაახლოებით 40 წუთი გაგრძელდა, თითოეულ მათგანში თემასთან დაკავშირებით მომზადებული თითო სიუჟეტი გავიდა. გადაცემის მსვლელობაში ყველა სტუმარი თანაბრად ერთვებოდა. მათ საუბარში წამყვანებიც ერთვებოდნენ და დამატებით კითხვებს სვამდნენ.

„დია“ (ქ. ხაშური) - ტელეკომპანია „დიას“ ეთერში 10 და 13 ივნისს **„ნინო ჩიბჩიურის თოქ-შოუ“** გავიდა.

გადაცემის სტუმრები იყვნენ საარჩევნო ბლოკების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“ და საინიციატივო ჯგუფის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები; ბლოკების „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ და „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“ გორის გამგებლობის კანდიდატები. თოქ-შოუს წამყვანი მშრალ კითხვებს სვამდა და ცდილობდა სტუდიაში მყოფი სტუმრებისთვის დრო თანაბრად გაენაწილებინა.

სპეციალურ რუბრიკაში „ამომრჩევლის ხმა“, რომელიც ტელეკომპანიას წინასწარ ჰქონდა მომზადებული, ეთერში მოქალაქეების შეკითხვები გაჟღერდა, რომლებზეც კანდიდატებს პასუხები უნდა გაეცათ.

ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“

„საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ ყოველკვირეული ტელეჟურნალი „მრავალკუთხედი“ კვირაში ერთხელ, სხვადასხვა დროს ეთერში შემდეგ არხებზე გადის: „ქვემო ქართლის ტელეკომპანია“, „თანამგზავრი“, „ოდიში“ , „გურია“, „მეცხრე ტალღა“ „რიონი“, „25-ე არხი“, „იმერვიზია“, „გურჯაანი“ , „მეცხრე არხი“, „მარნეული ტვ“, „არგო“, „ბორჯომი“, „დია“.

საანგარიშო კვირის ტელეჟურნალის თემა სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა უფლებები იყო. გადაცემა „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ დაფინანსებით ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტის ფარგლებში მომზადდა.

გადაცემის წამყვანს, ჟურნალისტ ნიკოლოზ რუბაშვილს თემაზე სასაუბროდ სტუდიაში მიწვეული ჰყავდა სტუმრები: სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე თენგიზ კალანდაძე, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა

აგულაშვილი, სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი რევაზ კობახიძე და სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ექსპერტი, პროფესორი ეთერ სარჯველაძე.

გადაცემის მსვლელობისას წამყვანი აქტიურად სვამდა კითხვებს, აზუსტებდა მიღებულ პასუხებს. ის გადაცემისთვის მომზადებული იყო, კარგად იცნობდა განსახილველ თემას. სტუმრებს საუბრისთვის დრო თანაბრად ეთმობოდათ.

საანგარიშო კვირაში რეგიონული ტელეკომპანიების ეთერი „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის“ მიერ საქართველოში ამერიკის ელჩთან, რიჩარდ ნორლანდთან ჩაწერილ ინტერვიუს დაეთმო.

ტელეკომპანიებმა: „თანამგზავრი“, „ბორჯომი“, „მე-9 ტალღა“, „ქვემო ქართლის ტელეკომპანია“, „რიონი“, „არგო“, „დია“, „ოდიში“- ინტერვიუ სრული სახით საინფორმაციო გამოშვებაში გაუშვეს. შესაბამისად, იგი ამ არხების მონიტორინგის რაოდენობრივ მონაცემებშიც აისახა.

ტელეკომპანიებმა „მარნეული ტვ“ და „გურჯაანმა“ ინტერვიუს დრო ცალკე დაუთმეს.

დაახლოებით 12 წუთიანი ინტერვიუს ჟურნალისტი ნიკოლოზ რუბაშვილი უძღვებოდა. იგი ელჩს წინასწარ მომზადებულ კითხვებს უსვამდა. რიჩარდ ნორლანდმა წინასაარჩევნო გარემო და თვითმმართველობის რეფორმა შეაფასა. ისაუბრა მომავალში გასატარებელ რეფორმებსა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობაზე.

საანგარიშო კვირაში ტელეკომპანიების „ოდიში“ (13 ივნისი) და „მე-9 ტალღა“ (14 ივნისი) ეთერში გადაცემა „ქალი და პოლიტიკა“ გავიდა, რომელიც ასოციაცია „დეას“ პროექტის „ქალების პოლიტიკური უფლებების დაცვის ხელშეწყობა სამეგრელოს რეგიონში“, ფარგლებში მომზადდა. თემა საარჩევნო სისტემებში ქალთა ჩართულობას შეეხებოდა. მას ივეტა წითაშვილი უძღვებოდა. წამყვანის შესავლის ტექსტი საკითხის ირგვლივ ამომწურავ ინფორმაციას იძლეოდა. გადაცემაში მიწვეულები იყვნენ მხოლოდ ქალბატონები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობაზე საუბრობდნენ, დეტალურად განმარტავდნენ საკანონმდებლო რეგულაციების და ზოგადად, საკითხის ირგვლივ არსებულ პრობლემებს.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

23-30 ივნისის მანძილზე მომზადდება რეგიონული მაუწყებლების მონიტორინგის შედეგების შემაჯამებელი ანგარიში.

25 ივნისს გაიმართება შემაჯამებელი შედეგების პრეზენტაცია.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



Global Expertise. Local Solutions.
Sustainable Democracy.

ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი შესაძლოა არ ასახავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.